ორიათას თექვსმეტი წლის ექვს ივლისს მე, შენია ტარტარაშვილს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №42 მომმართა ანრი ილურიძემ, რომელმაც მოითხოვა განცხადებაზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ანრი ილურიძემ (დაბ.10.12.1993წ, თბილისი,პ/№01011047327, რეგისტრირებული:თბილისი ა.ზურაბაშვილის ქ. 9/8) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: *ინსტრუქციის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმოწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა".* რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა (ერთი ხელმოწერა), რასაც ვამოწმებ ერთ ეგზემპლარად. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31.3-ე და 39.1 მუხლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, ანრი ილურიძე (დაბ.10.12.1993წ, თბილისი,პ/№01011047327) ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ ვარ შ.პ.ს „მობილია" -ს (ს/კ: 405067779) საკუთრებაში არსებული სავაჭრო ობიექტის, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, სოფელი დიღომი (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.653) პროექტის ავტორი. როგორც პროექტის ავტორი, თანახმა ვარ ჩემს მიერ შესრულებული ზემოაღნიშნული სავაჭრო ობიექტის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.653) პროექტის კორექტირება შეასრულოს და წარადგინოს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში არქიტექტორმა ვლადიმერ გაიმ (პ/№01008058955).

რასაც ვადასტურებ წერილობით და ვაწერ ხელს:

ხელმოწერა: _____ ანრი ილურიძე

ნოტარიუსი შენია ტარტარაშვილი